კავკასუს ონლაინი
საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა ფშაველას 71
ტელ.: (995 32) 20 00 00, ფაქსი: (995 32) 48 00 48
ელ. ფოსტა: info@co.ge

მასულია № 111283
"26" 01 2010 წ.
ფურცელი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს, ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2009 წლის 29 დეკემბრის N1-792 წერილის პასუხად გიგზავნით ჩვენი კომპანიის ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულების ნიმუშებს, რითაც განსაზღვრულია შპს „კავკასუს ონლაინისა" და აბონენტის უფლება-მოვალეობები.

დანართი: ხელშეკრულებები 17ფ.

პატივისცემით,

მამია სანადირაძე

გენერალური დირექტორი

26.01.2010წ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

შპს „კავკასუს ონლაინის“ მომსახურების თაობაზე

პაკეტი „ევრო-1“

ქ. თბილისი ——————— 201 წ.

_____(შემდგომში დამკვეთი) ერთის მხრივ და შპს „კავკასუს ონლაინი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამია სანადირაძის მიერ (შემდგომში შემსრულებელი) მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ტერმინთა განმარტებები

„შემსრულებელი“ – შპს „კავკასუს ონლაინი“, მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა–ფშაველას. №71.

„დამკვეთი“ – ფიზიკური პირი, რომელსაც სურს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება და რომელიც ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თანახმაა მიიღოს შემსრულებლისაგან შემოთავაზებული მომსახურება ამ ხელშეკრულებით განსაზღრულ ფარგლებში.

„ელექტრონული ფოსტა“ – ელექტრონული საფოსტო მისამართი, რომლის საშუალებითაც ხდება მიმოწერის ორგანიზება ინტერნეტის სხვა მომხმარებლებთან.

„ინტერნეტ გვერდი“ – გარკვეული მოცულობის მქონე ადგილი, სადაც ინტერნეტ გვერდის მფლობელი ათავსებს მისი სურვილის მიხედვით ორგანიზებულ და შერჩეულ ინფორმაციას ინტერნეტ-ქსელის მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომად.

„ვირუსები“ – პროგრამები, რომელთაც შეუძლიათ დაასნებოვნონ (დააინფიცირონ) სხვა პროგრამები, ანუ გაზარდონ ისინი ბოლოში თავისი ასლის დამატებით, რომელიც ინარჩუნებს შემდგომი თვითგამრავლების საშუალებას. ვირუსების მოქმედების შედეგები სხვადასხვაგვარია და განისაზღვრება მათი ავტორების მიერ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელი ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად ახორციელებს დამკვეთის მომსახურებას ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ შემსრულებელი ვალდებულია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად დამკვეთს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილება N 3-ით 2006 წლის 17 მარტს დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის (*შემდგომში* „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“) შესაბამისად ეკისრება შემსრულებელს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით შესაბამისი სახის დაზიანების აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადების შემსრულებლის მიერ დარღვევის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ შემსრულებელმა არ გაუწია დამკვეთს მოცემულ დღეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურება და შესაბამისად მოხდება დამკვეთისათვის მომსახურების საფასურის გადახდის თარიღის პროპორციული გადავადება.

2.2. დამკვეთი ავალებს, შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს დამკვეთი „ევრო 1“ პაკეტით.

2.3 „ევრო 1“პაკეტი მოიცავს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:

2.3.1. გლობალურ ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე – 1 მბ/წმ.
2.3.2. ლოკალურ ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე – 1 მბ/წმ.
2.3.3. დამკვეთისათვის 100 მბ ვებ სივრცის ორგანიზება
2.3.4. დამკვეთისათვის 2 საფოსტო ყუთის ორგანიზება.
2.3.5. ქსელური ხაზის გაყვანა კორპუსში მდგარი ცენტრალური გამანაწილებლიდან დამკვეთის კუთვნილ ფართამდე უფასოდ (მაქსიმუმ 150 მეტრი)
2.3.6. დამკვეთის კუთვნილ ფართში ქსელური კაბელის გაყვანა უფასოდ (მაქსიმუმ 20 მეტრი)
2.3.7. 24 საათიანი უფასო კონსულტაციების მიღება ტელეფონით და საჭიროების შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია ისარგებლოს შპს „კავკასუს ონალინის“ თანამშრომლის ერთი უფასო გამოძახებით კალენდარული თვის განმავლობაში. ყველა დამატებითი გამოძახება არის ფასიანი (გარდა შემსრულებლის მიზეზით გამოწვეული დაზიანებისა, ამ შემთხვევაში ყოველი გამოძახება არის უფასო) გამოძახების თანხა და გადახდის წესი განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების 6.8 პუნქტით.
2.3.8. შემსრულებლის მხრიდან მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ 1 (ერთი) კომპიუტერის ბაზაზე.

2.4. დამკვეთი, როგორც შესაბამის შენობაში განთავსებული საცხოვრებელი ფართის მართლზომიერი მოსარგებლე ან/და მესაკუთრე, აცხადებს და ადასტურებს, რომ მას აქვს უფლება, როგორც შესაბამისი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წევრს ან/და ამგვარი წევრის უფლებამოსილ წარმომადგენელს, განაცხადოს თანხმობა შენობის საერთო საკუთრებაში / სარგებლობაში არსებული ნაწილის მესამე პირისათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დამკვეთი აცხადებს თანხმობას და აძლევს შესაბამის უფლებას შემსრულებელს განათავსოს და დაამონტაჟოს მისი კუთვნილი აპარატურა და კაბელები შენობის ბინათმესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ შესაბამის ადგილებში (მათ შორის სხვენსა და კედლებზე), რომელიც არ წარმოადგენს სხვა მესამე პირის ინდივიდუალური საკუთრების საგანს, ისე რომ აღნიშნული სამონტაჟო სამუშაოების, აპარატურისა და კაბელების განთავსების შედეგად დამკვეთს ან/და შენობის რომელიმე სხვა მობინადრეს/მესაკუთრეს არ მიადგება რაიმე სახის მატერიალური ზიანი.

3. მიწოდებული მომსახურების ძირითადი მახასიათებლები:

3.1 შპს „კავკასუს ონლაინის“ სერვერზე განთავსებული რესურსებიდან პაკეტის გადაცემის დაყოვნება – დამკვეთის არხის დაუტვირთაობის შემთხვევაში შეადგენს არაუმეტეს – 250 მლ/წ;

3.2 შპს „კავკასუს ონლაინის“ სერვერზე განთავსებული რესურსებიდან პაკეტების დაკარგვა (პაკეტლოსტი) – შეადგენს არაუმეტეს – 3,5%-ს;

3.3 პორტების გახსნილობა – შპს „კავკასუს ონლაინი“ უზრუნველყოფს პორტების გახსნილობას, შეთავაზებული სერვისის უსაფრთხოებიდან გამომდინარე შეზღუდული იქნება დაშვება მხოლოდ № მე-80, 25-ე, 135-ე, 137-ე, 138-ე, 139-ე და 445-ე პორტებზე. აღნიშნული პორტების გააქტიურება მოხდება დამკვეთის მხრიდან წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. **დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:**

4.1 დამკვეთი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

4.2 დამკვეთის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს დამკვეთს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

4.3 დამკვეთი ვალდებულია დროულად დაფაროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4 დამკვეთი მთლიანად თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და რისკს რომელიც თან ახლავს ინტერნეტის ქსელით სარგებლობას. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული ან სხვა გზით დაკავშირებული მესამე პირის მიერ დამკვეთისათვის რაიმე საქონლის ან მომსახურების მიყიდვისას შემსრულებელი არ არის ანგარიშვალდებული ამ საქონლის ან სერვისის ხარისხზე, ფასზე ან მესამე მხარის კეთილსინდისიერებაზე.

4.5 დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს სერვისის უფასო 20 (ოცი) დღიანი შეჩერების უფლებით 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში და 30 დღიანი ფასიანი შეჩერების უფლებით. ფასიანი შეჩერების ღირებულება და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების 6.7 პუნქტით.

4.6 დამკვეთი ვალდებულია, მისი ქსელის შესაბამისი ელემენტების დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მისივე საცხოვრებელ კორპუსში განთავსებულ შემსრულებლის აპარატურასთან დაზიანების ჯგუფის შეუფერხებელი დაშვება.

4.7 დამკვეთი ვალდებულია მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა იმ შემთხვევაშიც როდესაც მან არ ან ვერ მიიღო მომსახურება შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

4.8 დამკვეთი ანიჭებს შემსრულებელს შესაბამის უფლებებს და აცხადებს თანხმობას, რომ იგი შემსრულებელს არ წაუყენებს რაიმე მოთხოვნას ან/და პრეტენზიას დამკვეთისაგან გენერირებული ტრაფიკის შემსრულებლის მიერ ნებისმიერი ფორმით განკარგვასა და სარგებლობასთან დაკავშირებით.

5. **შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი:**

5.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

5.2.შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე მის საკუთრებაში არსებული ლიცენზიებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.

- დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.

- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

5.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

5.4 შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან შემსრულებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად დამკვეთია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან.

5.5 შემსრულებელი არ არის ვალდებული დამკვეთის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სახლში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.

5.6 კორპუსში მდგარი ცენტრალური გამანაწილებლიდან დამკვეთის ბინამდე ქსელის დაზიანების აღმოფხვრას უზრუნველყოფს კომპანია აღნიშნული დაზიანების აღმოჩენიდან 48 საათის განმავლობაში.

5.7 შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით.(შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.caucasus.net –ზე გამოქვეყნებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით)

5.8 ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ღირებულება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. (შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.caucasus.net –ზე გამოქვეყნებით,ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით).

6. საზღაური მომსახურებისათვის

6.1 მომსახურების საფასური შეადგენს მომსახურების სააბონენტო გადასახადს კალენდარულ თვეში 7 (შვიდი) ევროს ოდენობით, ექვივალენტი ლარში, 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ფიქსირებული ვალუტის კურსით 1 ევრო–2,14 (ორი ლარი და თოთხმეტი თეთრი).

6.2 გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

6.3 სააბონენტო გადასახადისა და სხვა დავალიანების გადაუხდელობისას კომპანია უნარჩუნებს დამკვეთს რეგისტრაციას 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მომსახურების გათიშვიდან მეოთხე და მერვე დღეს კომპანია დამკვეთს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას არსებული დავალიანების თაობაზე, დამკვეთის მიერ მითითებულ მობილურ სატელეფონო ნომერზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში. ამ პერიოდში მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო, სხვა დავალიანების ან/და ჯარიმის გადახდისას და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს. აღნიშნული 10 (ათი) დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ კომპანია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოახდინოს აპარატურის დემონტაჟი.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის შემდეგ მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო გადასახადის ან/და სხვა დავალიანების ხელახალი გადახდის შემდეგ. ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს.

6.5 6 (ექვსი) თვის სააბონენტო გადასახადის წინასწარი დაფარვისას 10%-იანი, ხოლო 1 (ერთი) წლის სააბონენტო გადასახადის წინასწარი დაფარვისას 20%-იანი ფასდაკლებით.

6.6 წინამდებარე ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი შეჩერების გამოყენებისათვის დამკვეთი იხდის 0.50 (ორმოცდაათი) თეთრს, ყოველ შეჩერებულ კალენდარულ დღეზე, აღნიშნულ თანხას დამკვეთი იხდის წინასწარ, მომსახურების შეჩერებამდე.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულების 2.3.7 პუნქტით გათვალისწინებული შპს "კავკასუს ონლაინის" თანამშრომლის ფასიანი გამოძახებისათვის დამკვეთი იხდის 20 (ოცი) ლარს, რომელიც ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადზე. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.

6.8 წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებულ ჯარიმას დამკვეთი გადაიხდის შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია გაწყვიტოს დამკვეთთან წინამდებარე ხელშეკრულება და მოახდინოს აპარატურის დემონტაჟი. ურთიერთობა. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ჯარიმის ან/და სხვა დავალიანების ხელახალი გადახდის შემდგომ და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ **საწყის თარიღს.**

6.9 წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტისას დამკვეთისათვის მომსახურების აღდგენა შესაძლებელი იქნება შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც დადასტურებული უნდა იყოს შპს „კავკასუს ონლაინის" თანამშრომლის მიერ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე

საწყის თარიღს

მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

7.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.).
- გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო.
- ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

7.3 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

7.4 მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ შემსრულებლის პარტნიორების მიერ შემსრულებლისათვის ინტერნეტ მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტას.

7.5. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.6 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

7.7 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

7.8 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა დამკვეთის პირველადი რეგისტრაციის დროს.

8. მომსახურებით სარგებლობის წესები:

8.1 მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

8.1.1 რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემებისა და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისათვის.

8.1.2 ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

8.1.3 ისეთი ქსელური მოწყობილობების მონტაჟი, რომლებიც დამკვეთს აძლევს შესაძლებლობას შემსრულებლისაგან ფარულად ქსელში ჩართოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპიუტერების ლიმიტზე მეტი ოდენობის კომპიუტერები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 200___ წლის _____მდე.

9.2 თუ აბონენტი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 1 კვირით ადრე მაინც არ აცნობებს კომპანიას წერილობით მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება სამთვიანი პერიოდით.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, კომპანიის მოთხოვნით, შემდეგ შემთხვევებში:

- აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას.
- 6,4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ აბონენტის მიერ დავალიანებების გადაუხდელობის შემთხვევაში.

9.4 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები განახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

9.5 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებასა და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

9.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და

ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.9 დამკვეთი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებული დამკვეთის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე დამკვეთმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს კომპანიას.

9.10 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ასლი თითოეული მხარისათვის.

10. განსაკუთრებული პირობა

10.1 ყოველგვარი ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშკერულება ან მისი რომელიმე ნაწილი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნებს.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

<u>დამკვეთი</u>	<u>შემსრულებელი</u>
_____	შპს „კავკასუს ონლაინი“
_____	გენერალური დირექტორი მამია სანადირაძე _____
მისამართი _____	იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას №71
_____	
ტელეფონი (მობ) _____	ტელეფონი: (995 32) 20 00 00 ფაქსი: (995 32) 20 00 01
პირადი № _____	საიდენტიფიკაციო ნომერი: 211380833
<u>პირადობის მოწმობის №</u> _____	ბანკი : „თიბისი“
	ა/ა: 37467015

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

შპს „კავკასუს ონლაინის“ მომსახურების თაობაზე

<u>პაკეტი „მინი“</u>

ქ.თბილისი ——————201 წ.

_____(შემდგომში დამკვეთი) ერთის მხრივ და შპს „კავკასუს ონლაინი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მამია სანადირაძის მიერ (შემდგომში შემსრულებელი) მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ტერმინთა განმარტებები

„შემსრულებელი“ – შპს „კავკასუს ონლაინი“, მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა–ფშაველას №71.

„დამკვეთი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სურს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება და რომელიც ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თანახმაა მიიღოს შემსრულებლისაგან შემოთავაზებული მომსახურება ამ ხელშეკრულებით განსაზღრულ ფარგლებში.

„DSL“ აპარატურა – საჭიროებისამებრ „DSL“, „მოდემი“, „მარშუტიზატორი“, სიხშირული ფილტრი ე.წ. „სპლიტერი“.

„ელექტრონული ფოსტა“ – ელექტრონული საფოსტო მისამართი, რომლის საშუალებითაც ხდება მიმოწერის ორგანიზება ინტერნეტის სხვა მომხმარებლებთან.

„ინტერნეტ გვერდი“ – გარკვეული მოცულობის მქონე ადგილი, სადაც ინტერნეტ გვერდის მფლობელი ათავსებს მისი სურვილის მიხედვით ორგანიზებულ და შერჩეულ ინფორმაციას ინტერნეტ-ქსელის მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომად.

„ვირუსები“ – პროგრამები, რომელთაც შეუძლიათ დაასნებოვნონ (დააინფიცირონ) სხვა პროგრამები, ანუ გაზარდონ ისინი ბოლოში თავისი ასლის დამატებით, რომელიც ინარჩუნებს შემდგომი თვითგამრავლების საშუალებას. ვირუსების მოქმედების შედეგები სხვადასხვაგვარია და განისაზღვრება მათი ავტორების მიერ.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელი ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად ახორციელებს დამკვეთის მომსახურებას ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ შემსრულებელი ვალდებულია დროის რაც შეიძლება მოკლე მონაკვეთში აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად დამკვეთს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილება N 3-ით 2006 წლის 17 მარტს დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის (*შემდგომში* „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი“) შესაბამისად ეკისრება შემსრულებელს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით შესაბამისი სახის დაზიანების აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადების შემსრულებლის მიერ დარღვევის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ შემსრულებელმა არ გაუწია დამკვეთს მოცემულ დღეს ამ

ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურება და შესაბამისად მოხდება დამკვეთისათვის მომსახურების საფასურის გადახდის თარიღის პროპორციული გადავადება.

2.2. დამკვეთი ავალებს, შემსრულებელი კი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს დამკვეთი:

<u>DSL სერვისით, პაკეტი „მინი", აღნიშნული პაკეტი მოიცავს შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს:</u>

- **DSL სერვისისათვის გამოყენებული ტელეფონის ნომერი** : _____

  გლობალურ ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე 1.5 მბ/წამი, გარანტირებული 256 კბიტ/წამი ლოკალური ჩართვის სიჩქარე 1.5 მბიტ/ წამ–დე მოდემი დროებით სარგებლობაში (უფასო) USB.

  ჩართული კომპიუტერების რაოდენობა – 1

  ინსტალაცია და ტელეფონის ხაზის გაყვანა 20 მ-მდე – 10 ლარი

  ორი სპლიტერი დროებით სარგებლობაში (უფასო)

  დომენების რაოდენობა 1

  ვებ სივრცე 500 მეგაბაიტი (უფასო)

  საფოსტო ყუთების რაოდენობა 5 (უფასო)

3. მიწოდებული მომსახურების ძირითადი მახასიათებლები:

3.1 შპს „კავკასუს ონლაინის" სერვერზე განთავსებული რესურსებიდან პაკეტის გადაცემის დაყოვნება – დამკვეთის არხის დაუტვირთაობის შემთხვევაში შეადგენს არაუმეტეს – 250 მლ/წმ.

3.2 შპს „კავკასუს ონლაინის" სერვერზე განთავსებული რესურსებიდან პაკეტების დაკარგვა (პაკეტლოსტი) – შეადგენს არაუმეტეს – 3,5%-ს;

3.3 მომხმარებელზე გამოყოფილი სიმძლავრეების გაზომვის და საანგარიშო თვეში ამ სიმძლავრეების საშუალო ოდენობების შეფასების მეთოდიკას შპს „კავკასუს ონლაინი" უზრუნველყოფს მიერთების პორტზე მოხმარებული ტრაფიკის გრაფიკის წარდგენით. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება განხორციელდება მომხმარებლის წერილობითი შუამდგომლობის წარდგენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

3.4 პორტების გახსნილობა – შპს „კავკასუს ონლაინი" უზრუნველყოფს პორტების გახსნილობას, შეთავაზებული სერვისის უსაფრთხოებიდან გამომდინარე შეზღუდული იქნება დაშვება მხოლოდ № მე-80, 21-ე, 23-ე, 25-ე, 135-ე, 137-ე, 138-ე, 139-ე და 445-ე პორტებზე. აღნიშნული პორტების გააქტიურება მოხდება დამკვეთის მხრიდან წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი:

4.1 დამკვეთი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალულისა.

4.2 დამკვეთის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს დამკვეთს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

4.3 დამკვეთი ვალდებულია დროულად დაფაროს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების გადასახადი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.4 დამკვეთი მთლიანად თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და რისკს რომელიც თან ახლავს ინტერნეტის ქსელით სარგებლობას. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული ან სხვა გზით დაკავშირებული მესამე პირის მიერ დამკვეთისათვის რაიმე საქონლის ან მომსახურების მიყიდვისას შემსრულებელი არ არის ანგარიშვალდებული ამ საქონლის ან სერვისის ხარისხზე, ფასზე ან მესამე მხარის კეთილსინდისიერებაზე.

4.5 შემსრულებელს არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა სერვისით სარგებლობისას მიყენებულ მორალურ ან ფინანსურ ზარალზე, გარდა მისი (შემსრულებლის) პირდაპირი ბრალეული მოქმედებისა.

4.6 დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს სერვისის უფასო 20 (ოცი) დღიანი შეჩერების უფლებით 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში და 30 დღიანი ფასიანი შეჩერების უფლებით. ფასიანი შეჩერების ღირებულება და გადახდის წესი განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების 6,6 პუნქტით.

4.7 დამკვეთი ეთანხმება პირობას, რომ შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის ან დაკარგვის შემთხვევაში დამკვეთი იხდის ჯარიმას, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრული ამ ხელშეკრულების 6.9 პუნქტით.

4.8 დამკვეთი ეთანხმება პირობას, რომ შემსრულებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის ხელმეორედ დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის ან დაკარგვის შემთხვევაში დამკვეთი იხდის აღნიშნული აპარატურის საფასურს, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მოცემულია ამ ხელშეკრულების 6.9 პუნქტით.

4.9 დამკვეთი ვალდებულია მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა იმ შემთხვევაშიც როდესაც მან არ ან ვერ მიიღო მომსახურება შემსრულებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

4.10 სატელეფონო კაბელის დაზიანების შეკეთებას, რომლის სიგრძეც აღემატება 20 მეტრს, განახორციელებს დამკვეთი საკუთარი ხარჯებით.

4.11 დამკვეთი უფლებამოსილია ისარგებლოს შპს "კავკასუს ონლაინის" თანამშრომლის ერთი უფასო გამოძახებით კალენდარული თვის განმავლობაში. ყველა დამატებითი გამოძახება არის ფასიანი (გარდა შემსრულებლის მიზეზით გამოწვეული დაზიანებისა, ამ შემთხვევაში ყოველი გამოძახება არის უფასო). გამოძახების საზღაური და გადახდის წესი მოცემულია ამ ხელშეკრულების 6.8 მუხლში.

4.12. დამკვეთი ეთანხმება პირობას, რომ ყოველი დამატებითი სიხშირული ფილტრისათვის (ე.წ. სპლიტერი) გადაიხდის საფასურს. გარდა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. სპლიტერის ფასი და გადახდის წესი მოცემულია ამ ხელშეკრულების 6.10 მუხლში.

4.13 დამკვეთს, მისი სურვილით, შეიძლება შემსრულებლისაგან დროებით სარგებლობაში გადაეცეს დამატებითი მოწყობილობები, რომელთა საფასური და გადახდის წესი მოცემულია ამ ხელშეკრულების 6.11 პუნქტში.

4.14 დამკვეთი ანიჭებს შემსრულებელს შესაბამის უფლებებს და აცხადებს თანხმობას, რომ იგი შემსრულებელს არ წაუყენებს რაიმე მოთხოვნას ან/და პრეტენზიას დამკვეთისაგან გენერირებული ტრაფიკის შემსრულებლის მიერ ნებისმიერი ფორმით განკარგვასა და სარგებლობასთან დაკავშირებით.

5. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი:

5.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

5.2 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

5.3 შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე მის საკუთრებაში არსებული ლიცენზიებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.
- დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.
- დამკვეთი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

5.4 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

5.5 შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის რაც დამკვეთს შეიძლება მიადგეს დამკვეთის კომპიუტერში მესამე პირის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული შეღწევის შედეგად, ვინაიდან შემსრულებლის მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით და თავად დამკვეთია პასუხისმგებელი მისი კუთვნილი სისტემების დაცვაზე მესამე პირების მიერ ხელყოფისაგან.

5.6 შემსრულებელი არ არის ვალდებული აბონენტის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სახლში არსებული შიდა ქსელი, გარდა ამ ხელსეკრულების 4.11 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5.7 შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში გადასცეს მესამე მხარეს (საკრედიტო ინსტიტუტები, ბანკები და სხვ.) ინფორმაცია საჯარო გამოქვეყნებისათვის.

5.8 სატელეფონო კაბელის დაზიანების შემთხვევაში შემსრულებელი უზრუნველყოფს 20 მეტრი კაბელის შეცვლას თავისი ხარჯებით.

5.9 შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ღირებულება, თუ ამის მიზეზი გახდა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. (შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.caucasus.net –ზე გამოქვეყნებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით)

5.10 ლარის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია შეცვალოს მომსახურების ღირებულება და აღნიშნულის შესახებ წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით შეატყობინოს დამკვეთს მისთვის ხელმისაწვდომი გზით. (შემსრულებლის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.caucasus.net –ზე გამოქვეყნებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ფორმით).

6. საზღაური მომსახურებისათვის:

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შეადგენს მომსახურების სააბონენტო გადასახადს კალენდარულ თვეში 35 (ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით, დღგ–ს ჩათვლით.

6.2 გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი გადახდის წესით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების სახით.

6.3 სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობისას კომპანია უნარჩუნებს დამკვეთს რეგისტრაციას 10 კალენდარული დღის განმავლობაში. მომსახურების გათიშვიდან მეოთხე და მერვე დღეს კომპანია დამკვეთს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას არსებული დავალიანების თაობაზე, დამკვეთის მიერ მითითებულ მობილურ სატელეფონო ნომერზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში. ამ პერიოდში მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო, სხვა დავალიანების ან/და ჯარიმის გადახდისას და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს. აღნიშნული 10 (ათი) დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ კომპანია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოახდინოს აპარატურის დემონტაჟი დამკვეთის ფართზე.

6.4 მომსახურების განახლება შესაძლებელია მხოლოდ სააბონენტო და სხვა დავალიანების გადახდისას და ასეთი გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ახალ საწყის თარიღს.

6.5 DSL მომსახურების განხორციელებისათვის გამოყენებული სატელეფონო ნომრის შეცვლისას დამკვეთს დაერიცხება ერთჯერადი გადასახადი 12 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ოდენობით. 6.1 პუნქტით გათვალისწინებული სააბონენტოს დაფარვის 30 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ კომპანია იტოვებს უფლებას დაარიცხოს აბონენტს ხელახალი ჩართვის ღირებულება 12 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ოდენობით.

6.6 წინამდებარე ხელშეკრულების 4.6. პუნქტით გათვალისწინებული ფასიანი შეჩერების გამოყენებისათვის დამკვეთი იხდის 0,50 (ორმოცდაათი) თეთრი ყოველ შეჩერებულ კალენდარულ დღეზე. აღნიშნულ თანხას დამკვეთი იხდის წინასწარ, მომსახურების შეჩერებამდე.

6.7 6 (ექვსი) თვის სააბონენტო გადასახადის წინასწარი დაფარვისას 10%-იანი, ხოლო 1 (ერთი) წლის სააბონენტო გადასახადის წინასწარი დაფარვისას 20%-იანი ფასდაკლებით.

6.8 ამ ხელშეკრულების 4.11 მუხლით გათვალისწინებული შპს "კავკასუს ონლაინის" თანამშრომლის ფასიანი გამოძახებისათვის დამკვეთი იხდის 20 (ოცი) ლარს, რომელიც ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.

6.9 ამ ხელშეკრულების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა შეადგენს 35 ლარს. აღნიშნული თანხა ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად. აპარატურის ხელმეორედ დაზიანების შემთხვევაში დამკვეთი ხელახლა იხდის ჯარიმას.

6.10 ამ ხელშეკრულების 4.12 მუხლით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 5 ლარს. აღნიშნული თანხა ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.

6.11 ამ ხელშეკრულების 4.13 პუნქტით გათვალისწინებული აპარატურის საზღაური შეადგენს (WIRELESS-ის ტიპის მოდემისათვის – 80 ლარი, 4 პორტიანი მოდემისათვის 30 ლარი, კვების ბლოკისათვის - 10 ლარი). აპარატურის საფასური ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.

6.12 ამ ხელშეკრულების 4.13 პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი მოწყობილობებისათვის დამკვეთი გადაიხდის შესაბამის საფასურს (WIRELESS მოდემი 80 ლარი, 4 პორტიანი მოდემი 30 ლარი). აპარატურის საფასური ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.

6.13 ამ ხელშეკრულების 4.13 გათვალისწინებული დამატებითი მოწყობილობის გაცემა, იმ პირზე რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე მოხდება საგარანტიო თანხის დარიცხვის პირობით, რომელიც შეადგენს 60 ლარს. აღნიშნული თანხა ჩამოეჭრება დამკვეთის მიერ უკვე გადახდილ სააბონენტო გადასახადს, ან დაერიცხება მომდევნო თვის სააბონენტო გადასახადს. დამკვეთის ბალანსზე არსებული თანხის შესაბამისად.
ზემოხსენებული საგარანტიო თანხა დამკვეთს დაუბრუნდება ხელშეკრულების შეწყვეტისა და აპარატურის დაბრუნების შემდეგ.

7. ფორს-მაჟორი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე

მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

7.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა.).
- გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის სამარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა, ეპიდემიები, ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო.
- ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

7.3 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ფორს-მაჟორულ მოვლენასთან გათანაბრებულია მესამე პირთა ბრალეული და/ან არაბრალეული ქმედებანი, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სხვა გარემოებები.

7.4 მხარეები ფორს-მაჟორულ მოვლენად მიიჩნევენ შემსრულებლის პარტნიორების მიერ შემსრულებლისათვის ინტერნეტ მომსახურების (ინფორმაციის მიწოდების) შეწყვეტას.

7.5. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.6 ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

7.7 ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

7.8 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა დამკვეთის პირველადი რეგისტრაციის დროს.

8. მომსახურებით სარგებლობის წესები:

8.1 მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

- რეკლამის, ინფორმაციის ან სხვა მასალების მასიური გადაცემა ინტერნეტის სხვა მომხმარებელთათვის ასეთი მასალების ადრესატების თანხმობის გარეშე, როგორც ელექტრონული მისამართების, ისე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემებისა და კონფერენციების მეშვეობით, რომლებიც არ არის განკუთვნილი ამ მიზნისათვის.

- ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 200 ___ წლის _____ მდე.

9.2 თუ დამკვეთი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 1 კვირით ადრე მაინც არ აცნობებს კოპანიას წერილობით მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება სამთვიანი პერიოდით.

9.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, კომპანიის მოთხოვნით, შემდეგ შემთხვევებში:

- აბონენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას.

- 6.4 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების შეჩერებიდან 10 კალენდარული დღის შემდეგ აბონენტის მიერ დავალიანებების გადაუხდელობის შემთხვევაში.

9.4 ხელშეკრულება შეწყდება ვადაზე ადრე სატელეფონო კომპანიის მიერ აბონენტისათვის სატელოფონო მომსახურების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში. ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტა არ ათავისუფლებს აბონენტს კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურებათა ღირებულების გადახდისაგან, მაგრამ ქმნის საფუძველს მომსახურებისათვის ავანსად გადახდილი 1 თვის თანხა დაბრუნებული იქნას აბონენტისათვის.

9.5 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები განახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას და დამკვეთი დაუბრუნებს შემსრულებელს მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მოდემს და სპლიტერს.

9.6 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

9.8 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებასა და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

9.9 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.10 დამკვეთი პასუხს აგებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებული დამკვეთის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე დამკვეთმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს კომპანიას.

9.11 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.12 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ასლი თითოეული მხარისათვის.

9.13 ყოველგვარი ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშკერულება ან მისი.რომელიმე ნაწილი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნებს.

10. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

<u>დამკვეთი</u>	<u>შემსრულებელი</u>
_____	შპს „კავკასუს ონლაინი“
_____	გენერალური დირექტორი მამია სანადირაძე _____
მისამართი: _____	იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას №71
_____	
ტელეფონი (მობ) _____	ტელეფონი: (995 32) 20 00 00 ფაქსი: (995 32) 20 00 01
პირადი _____ საიდენტიფიკაციო ნომერი: _____	საიდენტიფიკაციო ნომერი: 211380833
პირადობის მოწმობის № _____	ბანკი : „თიბისი“
	ა/ა: 89136020100008 ბანკის კოდი: 220101850